ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერი

ბრძანება № 1-2028

3 ნოემბერი

"____"_____2016 წ.

ქ. თბილისში, ანაპის 414-ე დივიზიის ქ. №34-ში არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: №01.12.03.003.053), სავაჭრო ობიექტის განთავსების მიზნით, ინდივიდუალური ქალაქთმშენებლობითი პარამეტრების მინიჭების შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის" 61–ე მუხლის მე-3 პუნქტის „ა" ქვეპუნქტის, „სივრცითი მოწყობისა და ქალაქთმშენებლობის საფუძვლების შესახებ" საქართველოს კანონის 31-ე მუხლის, „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის №14-39 დადგენილებით დამტკიცებული წესების 22-ე მუხლის და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების საკითხთა საბჭოს (შემდგომში - საბჭო) 2016 წლის 6 ოქტომბრის №50 სხდომის ოქმის შესაბამისად,

ვბრძანებ:

1. მიენიჭოს ქ. თბილისში, ანაპის 414-ე დივიზიის ქ. №34-ში არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: №01.12.03.003.053), სავაჭრო ობიექტის განთავსების მიზნით, ინდივიდუალური ქალაქთმშენებლობითი პარამეტრები და განისაზღვროს: კ1=0,4.

2. დაევალოს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიულ პირს - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურს შესაბამისი ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტების გამოცემისას, გაითვალისწინოს საბჭოს რეკომენდაციები.

3. კონტროლი ბრძანების შესრულებაზე დაევალოს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის უფროსს.

4. წინამდებარე ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გასაჩივრება შესაძლებელია თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კილომეტრი №6), მისი ოფიციალური წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

დავით ნარმანია

ქ. თბილისი 0160, ჟ. შარტავას ქუჩა №7, ტელ.: (+995 32) 2 378 170, ფაქსი: (+995 32) 2 378 200

უძრავი ქონების სარგებლობის უფლებით გადაცემის ხელშეკრულება

ე-290-5-17277

„30" „12" „2015" ქ. თბილისი

(რიცხვი, თვე, წელი)

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის", ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 22 დეკემბრის N19-78 დადგენილებით დამტკიცებული ,,ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების სარგებლობის უფლებით გადაცემის წესის" შესაბამისად და სსიპ ,,ქონების მართვის სააგენტოს" **2015 წლის 21 დეკემბრის ე-290-5-17277** გადაწყვეტილების საფუძველზე, ფორმდება წინამდებარე ხელშეკრულება ერთის მხრივ, **აუქციონატორს - ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ ,,ქონების მართვის სააგენტოს" (ს/კ 205296375)**, (მისამართი: ქ. თბილისი, შარტავას 7, სააგენტოს წარმომადგენელი კარლო ლაფერაძე პირ. #01003002915) შემდგომში: (მეიჯარე) და მეორეს მხრივ, აუქციონში გამარჯვებულ **შპს ,,RIDEX GEORGIA"-ს ს/კ 404987804 წარმომადგენელი გუგა მჟავია პირ. #0101904962 მისამართი: ქ. თბილისი, ა, ბარამიძის 5ა** შორის (შემდგომში მოიჯარე).

1. ხელშეკრულების საგანი და გადაცემის პირობები

1.1. ამ ხელშეკრულების თანახმად "მეიჯარემ" გადასცა, ხოლო „მოიჯარემ" დროებით სარგებლობაში მიიღო **ქ. თბილისში, ქუჩა ანაპის , #414-ე დივიზია, #34-ის მიმდებარედ 385 კვ.მ მიწის ნაკვეთი**. „მოიჯარე" კისრულობს ვალდებულებას გადაიხადოს ამ ხელშეკრულებით დადგენილი საფასური.

1.2. „იჯარის ობიექტის" მახასიათებლებია: **საკადასტრო კოდი: #01.12.03.003.053**, მისამართი: **ქ. თბილისში, ქუჩა ანაპის , #414-ე დივიზია, #34-ის მიმდებარედ 385 კვ.მ მიწის ნაკვეთი** (შემდგომში „იჯარის საგანი").

1.3. იჯარის საგანი მოიჯარეს გადაეცემა 7 წლის ვადით.

1.4. ერთსართულიანი მსუბუქი კონსტრუქციის განთავსების და არსებული ხე-ნარგავების სრულად შენარჩუნების პირობით.

2. იჯარის ფასი და გადახდის პირობები

2.1. სარგებლობის ყოველწლიური საფასური (შემდგომში ,,საიჯარო ქირა") **შეადგენს 4322 (ოთხიათასსამასოცდაორი) ლარს**.

2.2. „მოიჯარე" ვალდებულია გადაიხადოს აუქციონის ჩატარების მომსახურების საფასური რომელისც უძრავი ქონებაზე შეადგენს 250 ლარს, ხელშეკრულების გაფორმებიდან 30 კალენდარული დღის ვადაში. თუ ლოტში შედის რამდენიმე უძრავი ნივთი, გამარჯვებული 250 ლართან ერთად იხდის 100 ლარს ყოველ დამატებით უძრავ ნივთზე;

2.3. „მოიჯარე" ასევე ვალდებულია გაიღოს „იჯარის ობიეიქტის" შენახვისა და მოვლა-პატრონობის ხარჯები, რისთვისაც იგი ვალდებულია იჯარის მოქმედების მთელ პერიოდზე აბონენტად

დარეგისტრირდეს შესაბამისი კომუნალური მომსახურების გამწევ ორგანიზაციებში (ელ. ენერგია, ბუნებრივი აირი, წყალმომარაგება, დასუფთავება).

2.4. საიჯარო ქირის გადახდა უნდა განხორციელდეს 3 (სამი) თვეში ერთხელ არაუგვიანეს სამთვიანი პერიოდის გასვლის უკანასკნელი დღისა. გადახდის ვადა აითვლება ხელშეკრულების ხელმოწერის დღიდან.

2.5. მოიჯარეს გადახდილი ,,ბე" ეთვლება ბოლო წლის საიჯარო ქირის გადასახადში;

2.6. საიჯარო ურთიერთობის განმავლობაში ეროვნული ვალუტის ინფლაციის შემთხვევაში, მეიჯარე უფლებამოსილია გაზარდოს საიჯარო ქირა შესაბამისი ოდენობით. ასევე ეკონომიკური პირობების ცვლილებების გათვალისწინებით, ან საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად, საიჯარო ქირის გადახედვა ურთიერთობის მონაწილეების მიერ შესაძლებელია შეთანხმების საფუძველზე. მეიჯარე ამ პირობებით განსაზღვრული წესით ატყობინებს ქონების მიმღებს ახალ საიჯარო ქირის ოდენობას. შეტყობინებიდან ერთი თვის ვადაში შეთანხმების მიუღწევლობის და საიჯარო პირობებში ცვლილების გაუფორმებლობის შეთხვევაში, მეიჯარე უფლებამოსილია, ცალმხრივად შეწყვიტოს საიჯარო ურთიერთობა;

2.7. მოიჯარე ვალდებულია მეიჯარის პირველი მოთხოვნისთანავე, მაგრამ არაუგვიანეს 1 თვის ვადაში გაათავისუფლოს იჯარით გადაცემული ქონება.

2.8. „ხელშეკრულების" მოქმედების ვადის გასვლის ან მისი ვადამდე შეწყვეტის შემთხვევაში, „ხელშეკრულების" შეწყვეტის თაობაზე „მეიჯარის" შეტყობინების მიღებიდან 1 (ერთი) თვეში გამოათავისუფლოს „ქონება". ამასთან, „ქონებაზე" გაწეული ხარჯები არ ანაზღაურდება;

2.9. თუ მოიჯარე საიჯარო ურთიერთობის შეწყვეტამდე უკან აბრუნებს ქონებას, იგი თავისუფლდება საიჯარო ქირის შემდგომი გადახდისაგან იმ შემთხვევაში, თუ მის სანაცვლოდ მეიჯარეს შესთავაზებს ახალ გადახდისუნარიან და მისთვის მისაღებ მოიჯარეს, წინააღმდეგ შემთხვევაში მეიჯარე უფლებამოსილია მოსთხოვოს მოიჯარეს საიჯარო ქირის გადახდა ხელშეკრულებით განსაზღვრული პერიოდის დასრულებამდე.

2.10. იჯარით გადაცემულ ქონებაზე გარე რეკლამის განთავსების ნებართვის მფლობელის თანხმობის გარეშე, მოიჯარემ არ უნდა განათავსოს რეკლამა თავის საქმიანობასთან დაკავშირებული რეკლამის გარდა;

2.11. **საიჯარო ქირის მომსახურების თანხის გადახდა უნდა განხორციელდეს მოიჯარის პირად გვერდზე ასახულ ინვოისში მითითებულ ბიუჯეტის შემოსულობების სახაზინო ანგარიშზე;**

3. მხარეთა ვალდებულებები

3.1. "მოიჯარე" ვალდებულია:

3.1.1. ხელშეკრულების ხელმოწერიდან არაუგვიანეს 30 კალენდარული დღის ვადაში იჯარის უფლება დაარეგისტრიროს შესაბამის მარეგისტრირებელ ორგანოში. გადაცემულ ქონებაზე იჯარის უფლება წარმოიშობა საჯარო რეესტრში რეგისტრაციის მომენტიდან;

3.1.2. იჯარის უფლების რეგისტრაციასთან დაკავშირებული პროცედურებისთვის საჭირო ხარჯების ანაზღაურებას უზრუნველყოფს მოიჯარე;

3.1.3. სარგებლობის ქირის გადახდა მოიჯარეს არ ათავისუფლებს მიწით სარგებლობისათვის საქართველოს საგადასახადო კოდექსით დადგენილი გადასახადისა და საქართველოს კანონმდებლობით დაწესებული სხვა გადასახდელებისაგან;

3.1.4. გადაიხადოს საიჯარო ქირა ამ ხელშეკრულებით დადგენილი წესითა და ოდენობით;

3.1.5. „მეიჯარეს'' და მისი მითითების შესაბამისად აღმოფხვრას დაზიანება თავისი ხარჯებით;

3.1.6. აცნობოს დაუყოვნებლივ მეიჯარეს, თუ ქონებას აღმოაჩნდება ნაკლი;

3.1.7. საკუთარი ხარჯებით მოახდინოს ცალკე აბონენტად გამრიცხველიანება, რეგისტრაცია (წყალი, ელექტროენერგია, გაზი, დასუფთავება) სარგებლობის უფლების მიმღების სახელზე და გადაიხადოს კომუნალური გადასახადები.

3.1.8. ,,3.1.7" პუნქტით გათვალისწინებული ვალდებულების შესრულებამდე (ცალკე აბონენტად გამრიცხველიანება), მოიჯარე ვალდებულია გადაიხადოს კომუნალური გადასახადები (წყალი, ელექტროენერგია, გაზი, დასუფთავება).

3.1.9. უზრუნველყოს ეკოლოგიური და სანიტარიულ-ჰიგიენური ნორმების დაცვა;

3.1.10. მოთხოვნისთანავე მეიჯარეს წარუდგინოს წერილობითი ინფორმაცია საიჯარო პირობებით და საქართველოს კანონმდებლობით ნაკისრი ვალდებულების შესრულების მიმდინარეობის თაობაზე შესაბამის დამადასტურებელ დოკუმენტაციასთან ერთად;

3.1.11. ხელი შეუწყოს მეიჯარეს, საიჯარო პირობებით გათვალისწინებული ვალდებულებების შესრულების მიმდინარეობის თაობაზე დოკუმენტური და ვიზუალური მონიტორინგის განხორციელებაში;

3.1.12. ხელი შეუწყოს მეიჯარეს, კანონმდებლობით და საიჯარო პირობებით განსაზღვრული უფლებამოსილების განხორციელებაში;

3.1.13. ხელშეკრულების მოშლის ან შეწყვეტისას უკან დააბრუნოს იჯარის საგანი და მოიჯარის მოთხოვნის შემთხვევაში, მითითებულ ვადაში, მოიყვანოს იგი პირვანდელ მდგომარეობაში;

3.1.14. „მეიჯარის" წერილობითი თანხმობის გარეშე არ გასცეს „იჯარის საგანი" მესამე პირებზე სარგებლობის უფლებით (მათ შორის: გააქირაოს, ქვეიჯარის, თხოვების ფორმით გადასცეს).

3.1.15. დაიცვას წინამდებარე ხელშეკრულებით და კანონმდებლობით გათვალისწინებული პირობები.

3.2. „მეიჯარე" ვალდებულია:

3.2.1. უზრუნველყოს ,,მოიჯარის'' მიერ საიჯარო საგნით შეუფერხებელი სარგებლობა და ხელი არ შეუშალოს მას ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული უფლებების განხორციელებაში;

3.2.2. დაიცვას ხელშეკრულებით და კანონმდებლობით გათვალისწინებული პირობები.

4. პასუხისმგებლობა

4.1 ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების შეუსრულებლობის ან არასათანადოდ შესრულების შემთხვევაში მხარეები პასუხს აგებენ ამ ხელშეკრულებითა და საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული წესით, ხელშეკრულების პირობების დამრღვევმა მხარემ უნდა აუნაზღაურებს მეორე მხარეს დარღვევით მიყენებული ზიანი.

4.2 ამ პირობებისა და ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობის შემთხვევაში მოსარგებლეს ამ პირობებით განსაზღვრული ფორმით ეძლევა გაფრთხილება, რომელშიც მიეთითება დარღვევის გამოსწორების ვადა. განსაზღვრულ ვადაში დარღვევის არ გამოსწორების შემთხვევაში მოსარგებლეს დაიკისრება წინამდებარე ხელშეკრულებით განსაზღვრული პირგასამტეხლო. წინამდებარე ხელშეკრულების 4.4 პუნქტით გათვალისწინებული ვალდებულების დარღვევის შემთხვევაში მოსარგებლეს პირგასამტეხლო ეკისრება გაფრთხილების გარეშე;

4.3 ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის (დარღვევის) განმეორებით გამოვლენის შემთხვევა და/ან დაწესებულ ვადაში პირგასამტეხლოს გადაუხდელობა მეიჯარის მიერ მიიჩნევა საიჯარო ურთიერთობის ცალმხრივად შეწყვეტის საფუძვლად. მოსარგებლეს არ უბრუნდება გადახდილი თანხა და არ აუნაზღაურდება გაწეული ნებისმიერი სხვა ხარჯი. მესაკუთრე/ მთავრობის წარმომადგენელი (რწმუნებული)ან ამ მიზნით თბილისის მიერ დაფუძნებული საჯარო სამართლი

სიურიდიული პირი უფლებამოსილია, ასევე, მოითხოვოს ქონებისთვის მიყენებული და სხვა სახის ზიანის და/ან ზარალის ანაზღაურება;

4.4 სარგებლობის ქირის გადაუხდელობის ან გადახდის ვადის დარღვევის შემთხვევაში პირგასამტეხლო განსაზღვრულია გადასახდელი თანხის 0, 1%-ის მაგრამ არანაკლებ 5 (ხუთი), დარღვევის დღიდან ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე.

4.5 წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული სხვა ვალდებულებების (გარდა სარგებლობის ქირის) გადახდასთან დაკავშირებული ვალდებულებებისა) დარღვევის შემთხვევაში, მოსარგებლეს ეკისრება პირგასამტეხლო 100 (ასი) ლარის ოდენობით.

4.6 დაკისრებული პირგასამტეხლოს თანხის გადახდა, მოიჯარეს არ ათავისუფლებს ნაკისრი ვალდებულების შესრულებისგან.

4.7 თუკი „ხელშეკრულების" მოქმედების ვადის ამოწურვის ან მისი სხვა საფუძვლით შეწყვეტის შემთხვევაში, „მოიჯარე" „მეიჯარის" შეტყობინების მიღების შემდგომ არ გამოათავისუფლებს „ქონებას", იგი ვალდებულია გადაიხადოს „ხელშეკრულებით" დადგენილი საიჯარო ქირა „ქონების" გამოთავისუფლებამდე.

4.8 თუ მოიჯარე საიჯარო ურთიერთობის დამთავრების შემდეგ არ დააბრუნებს აღებულ ქონებას, მაშინ მეიჯარეს შეუძლია მოითხოვოს დათქმული საიჯარო ქირის გადახდა ქონების დაბრუნების დაყოვნების გამო, ასევე მოითხოვოს აღნიშნული ქონებისათვის მიყენებული და სხვა სახის ზიანის ანაზღაურება.

4.9 პირგასამტეხლოს გადახდა უნდა განხორციელდეს მოიჯარის პირად გვერდზე ასახულ ინვოისში მითითებულ ბიუჯეტის შემოსულობების სახაზინო ანგარიშზე;

5. ხელშეკრულების მოქმედების ვადა და ვადამდე შეწყვეტა

5.1 წინამდებარე ხელშეკრულება იჯარის ვადის ნაწილში მოქმედებს ხელშეკრულების 1.3 პუნქტით განსაზღვრული ვადით, ხოლო მხარეთა სხვა ვალდებულებების შესრულების ნაწილში, ამ ვალდებულებების შესრულებამდე.

5.2 საიჯარო ურთიერთობა შეიძლება შეწყდეს:

5.2.1. მხარეთა ორმხრივი შეთანხმებით;

5.2.2. მეიჯარის მიერ, ცალმხრივად: წინამდებარე ხელშეკრულების მე-2 მუხლის 2.6 და 2.7 ქვეპუნქტით გათვალისწინებული ვალდებულების დარღვევის პირველივე შემთხვევაში;

5.2.3 თუ მოიჯარე არ იხდის ქირას, გადახდის ვადის დადგომიდან 3 თვის განმავლობაში;

5.2.4. მეიჯარის მიერ, ცალმხრივად მე-4 მუხლის 4.3 ქვეპუნქით გათვალისწინებულ შემთხვევაში;

5.2.5. კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევაში;

5.2.6 მოიჯარე მეიჯარისაგან გაფრთხილების მიუხედავად ქონებას მნიშვნელოვნად აზიანებს ან უქმნის ასეთი დაზიანების რეალურ საშიშროებას;

5.3. საიჯარო ურთიერთობა შეწყვეტილად ითვლება იჯარის მოქმედების ვადის გასვლის შემთხვევაში.

5.4. საიჯარო ურთიერთობა წყდება მხარის განცხადებისა და ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის გადაწყვეტილების საფუძველზე, გარდა მეიჯარის მიერ ურთიერთობის ცალმხრივად შეწყვეტისა. ამ უკანასკნელ შემთხვევაში საკმარისია ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის გადაწყვეტილება;

6. სხვა პირობები

6.1. მხარის მიერ ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული რომელიმე უფლების გამოუყენებლობა არ ნიშნავს ამ უფლების უარყოფას.

6.2. ნებისმიერი ცვლილება ან/და დამატება (გარდა მოიჯარის ცვლილებისა) საიჯარო პირობებში შესაძლებელია განხორციელდეს მხარეთა წერილობითი შეთანხმებით და ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის 2014 წლის 22 დეკემბრის #19-78 დადგენილებით დამტკიცებული „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების სარგებლობის უფლებით გადაცემის წესის“ შესაბამისად.

6.3. საიჯარო პირობებში ცვლილებები და დამატებები საჯარო რეესტრში რეგისტრირდება კანონმდებლობით გათვალისწინებული წესის შესაბამისად;

6.4 . „ხელშეკრულების“ საფუძველზე წარმოშობილი დავა წყდება მხარეთა შეთანხმებით, ხოლო შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში, დავას განიხილავს საერთო სასამართლო საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

6.4. ყველა შეტყობინება, მოთხოვნა ან სხვა სახის კორესპონდენცია შესრულებული უნდა იყოს ქართულ ენაზე, რომელიც შეიძლება გაიგზავნოს: პერსონალური გადაცემის გზით, წინასწარ გადახდილი დაზღვეული ფოსტით, საკურიერო სამსახურით, ფაქსით და ელექტრონული ფოსტით ხელშეკრულებაში მითითებულ მისამართზე;

6.5. მხარეები ვალდებული არიან დაუყოვნებლივ აცნობონ ერთმანეთს საკონტაქტო მონაცემების ნებისმიერი რეკვიზიტის ცვლილების შესახებ. წინააღმდეგ შემთხვევაში შეტყობინება ითვლება მიმღები მხარის მიერ მიღებულად მის მიერ მითითებულ უკანასკნელ მისამართზე გამგზავნი მხარის მიერ გაგზავნის შემთხვევაში;

6.5. მეიჯარის მიერ ელექტრონულად (მათ შორის, ელექტრონული ფოსტით, მოკლე ტექსტური შეტყობინებით და სხვ.) მოიჯარის მიერ მითითებულ მისამართზე გაგზავნილი შეტყობინება, მოთხოვნა და სხვა კორესპონდენცია ძალაშია ადრესატის შესაბამის მისამართზე (მათ შორის, ელექტრონულ ფოსტაზე) შეტყობინების ჩაბარების მომენტიდან.

მეიჯარე: საჯარო სამართლის იურიდიული პირი
,,ქონების მართვის სააგენტო " აუქციონატორი:
კარლო ლაფერაძე
მისამართი: ქ. თბილისი, შარტავას 7
ელ. ფოსტა: infoauction@tbilisi.gov.ge

მოიჯარე: შპს ,,RIDEX GEORGIA " (ს/კ 404987804)
წარმომადგენელი: გუგა მჭავია
მისამართი: ქ. თბილისი, ა, ბარამიძის 5ა
მობილური ტელეფონი: 599 75 04 33
ელ. ფოსტა: ridex.georgia@gmail.com

ბ.ა

გაცნობის თარიღი	გაცემის თარიღი
24.03.2016	24.03.2016

განხილვის საგანი :	თვითმმართველი ერთეულის მიერ განკარგული ქონების მესამე პირზე გასხვისების, გადაცემის და დატვირთვის თანხმობის გაცემა
დაინტერესებული პირი :	შპს RIDEX GEORGIA 404987804
წარმოების საფუძველი :	განცხადება №: QN1380527
გასაჩივრების წესი :	გაცნობიდან ერთი თვის ვადაში, ქ. თბილისის საქალაქო სასამართლოში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ. №6)
აქტის მოქმედების ვადა :	აქტი ძალაშია გამოქვეყნებისთანავე

სააგენტოს გადაწყვეტილება № QN1380527

1. მიეცეს თანხმობა შპს „RIDEX GEORGIA“-ს (ს/კ: 404987804) ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქონების მართვის სააგენტოსთან 2015 წლის 30 დეკემბერს გაფორმებული „უძრავი ქონების სარგებლობის უფლებით გადაცემის შესახებ“ Nე-290-5-17277 ხელშეკრულების საფუძველზე იჯარის უფლებით გადაცემული ქ. თბილისში, ანაპის ქუჩა, 414-ე დივიზია, N34-ის მიმდებარედ 385,00 კვ.მ მიწის ნაკვეთის (მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი: 01.12.03.003.053) იჯარის უფლების მიმღებ პირად, უცვლელი საიჯარო პირობებითა და ვალდებულებებით, ჩაანაცვლოს შპს „საქართველოს საერთაშორისო სამშენებლო კორპორაცია“ (ს/კ: 405136366).

2. იჯარის უფლების გადაცემაზე თანხმობის პირობებად განისაზღვროს: ახალი მოიჯარის მიერ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქონების მართვის სააგენტოსთან 2015 წლის 30 დეკემბერს გაფორმებული „უძრავი ქონების სარგებლობის უფლებით გადაცემის შესახებ“ Nე-290-5-17277 ხელშეკრულების პირობების და ვალდებულებების შეუფერხებლად შესრულება.

საფუძველი:

ქალაქ თბილისის საკრებულოს 2014 წლის 22 დეკემბრის N19-78 გადაწყვეტილებით დამტკიცებული „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების სარგებლობის უფლებით გადაცემის წესის“ მე-13 მუხლის მე-3 პუნქტი, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 22 დეკემბრის №19-74 დადგენილებით დამტკიცებული „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის – ქონების მართვის სააგენტოს მიერ გაწეული მომსახურებისა და დაჩქარებული მომსახურების საფასურის და

თარიღი: 22.02.2016წ.).